

ცვლილება საბანკო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში  
(ფიზიკური პირებისთვის)

**1. საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების 13.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„13.3. კლიენტს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. სტანდარტული წერილობითი და ელექტრონული პრეტენზიების წარდგენა ხდება ბანკის მიერ დადგენილი ფორმით (იხ. ბანკის ვებ-გვერდი - [www.cartubank.ge](http://www.cartubank.ge)), ასევე, შესაძლებელია ელექტრონული პრეტენზიების მიღება ბანკის ელექტრონულ მისამართზე ([info@cartubank.ge](mailto:info@cartubank.ge)) გამოგზავნის გზით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით მიღება ხდება სატელეფონო მომსახურების ჯგუფის მიერ, ტელეფონის ნომრებზე: (032) 200 80 80; \*8080. პრეტენზიის წერილობით დაფიქსირება შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრის საოპერაციო განყოფილებაში ასევე ბანკის ვებ-გვერდის საშუალებით (იხ. ბანკის ვებ-გვერდი - [www.cartubank.ge](http://www.cartubank.ge)); დაფიქსირებულ პრეტენზიას/ებს განიხილავს სს „ბანკი ქართუს“ მომხმარებელთა უფლებების დამცველი და პრეტენზიის/ების სრულყოფილად შესწავლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს მომხმარებლის მიერ პრეტენზიის დაფიქსირებიდან და, საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებლის იდენტიფიკაციიდან 1 თვის ვადისა, პრეტენზიის განმცხადებელს, (გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა) ეცნობება დაუყოვნებლივ წერილობით ან ელექტრონულად (მომხმარებელთან შეთანხმებით და/ან პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტიფიკაციის შემდეგ). ამასთან, პრეტენზიის განხილვის პროცესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატელეფონო სერვისცენტრში ნომრებზე: (032) 200 80 80 ; \*8080.